

წლის საუკეთესო სტუდენტების შერჩევის სისტემის შემუშავება (კომისიის დებულების შედგენა)

1. პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების კრიტერიუმები - 25 ქულა.

1.1. პროფესიულ სტუდენტების მომზადების დონე ფასდება 15 ქულით

- ა). **ლექციებზე აქტიურობა** - ფასდება 5 ქულით და გულისხმობს მონაწილეობას: სასწავლო დისკუსიებში, პრეზენტაციებში, პრაქტიკული სამუშაოების შესრულება/გადაწყვეტაში და სხვა ინტერაქტიული მეთოდებით გამოკითხვაში;
- ბ). **დამოუკიდებელი დავალების შესრულება** ფასდება 5 ქულით და გულისხმობს კონკრეტულ თემაზე ცოდნის გამოვლენას დამოუკიდებელი დავალების, ტესტირების /რეფერატის ან სხვა სამუშაოს შესრულების გზით; სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (ინტერაქცია, დისკუსია, დებატი, ღია წიგნი და სხვ.)
- გ). **პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება** ფასდება 5 ქულით. მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარჩვევა.

1.2. შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა ფასდება 10 ქულით

- ა). **შედეგების შემოწმება** ფასდება 5 ქულით - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევების შეფასება, (წერიითი ან შერეული ფორმით) სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში.

- ბ). განმეორებითი შედეგები ფასდება 3 ქულით - სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გამოცდაზე გავიდეს 7 დღის ვადაში;
- გ). განსაკუთრებული შემთხვევები ფასდება 2 ქულით - ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით შედეგზე ან განმეორებით შედეგზე გამოუცხადებლობა, სათანადო დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სტუდენტს ეთვლება საპატიოდ და მას ნება ეძლევა: ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში დაფაროს დავალიანება; უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, კიდევ ერთხელ გავიდეს განმეორებით შეფასებაზე.

2. სტუდენტთა მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფა 25 ქულა

2.1. პროფესიული სტუდენტის მოვალეობები

- ა). კანონმდებლობის, აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვა ფასდება - 5 ქულით;
- ბ). საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ფასდება - 4 ქულით;
- გ). აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ფასდება - 4 ქულით;
- დ). სხვა პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ფასდება - 3 ქულით;
- ე). სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით პლაგიატის არ გამოყენება ფასდება - 3 ქულით;
- დ). აკადემიის ინფრასტრუქტურის გაფრთხილება ფასდება - 3 ქულით;
- ვ). არ შეურაცყოს აკადემიის პრესტიჟი ფასდება - 3 ქულით.

3. წესრიგიანობა - მეცადინეობებზე სწრებადობა, ფორმიანობა, ჯგუფებში მორიგეობა - 25 ქულა

3.1. ჩვენი საქციელი, ჩაცმულობა და გარეგნობა მეტყველებს ჩვენზე

- ა). ინტელექტი და ქცევა - ისეთი გარემოს შექმნა, რომ მისი გონება და ინტელექტი სათანადოდ განვითარდეს ფასდება - 4 ქულით;
- ბ). თვითპატივისცემის განვითარება ფასდება - 3 ქულით.
- ✓ საკუთარ ღირსებებზე საუბარი,

- ✓ გარეგნულ თუ გონებრივ უპირატესობებზე,
- ✓ მან უნდა იცოდეს, რა აქვს კარგი.
- ✓ რაც არ აქვს, უნდა განავითაროს.
- ✓ ის საკუთარ თავს უნდა სცემდეს პატივს და უყვარდეს

გ). ურთიერთობის სწავლა ფასდება - 3 ქულით.

- ✓ დაცულობის გრძნობა,
- ✓ სხვა მოზრდილების კეთილგანწყობა,
- ✓ კომპლექსებისგან განთავისუფლება,
- ✓ გარეგნული მომხიბვლელობა,
- ✓ განსაკუთრებით (სამოსი, მანერები, ჰიგიენა);
- ✓ საფუძვლიანი თავდაჯერება;
- ✓ სიტყვების კარგი მარაგი

დ). პასუხისმგებლობა და წესრიგიანობა ფასდება - 3 ქულით.

- ✓ ყველა მეცადინეობას ესწრება;
- ✓ აქვს უმნიშვნელო გაცდენები;
- ✓ თითქმის ნახევარს აცდენს;
- ✓ უმეტეს შემთხვევაში აქვს გაცდენები.

ე). კარგი მანერები და სისუფთავე ფასდება - 3 ქულით.

ვ). მომთხოვნი მაღალი თვითშეფასებით, საკუთარი ღირსების გრძნობით, უნარით, აკეთონ რაღაც სხვებზე უკეთ, დამჯერი, ჭკვიანი და აკურატული ფასდება - 3 ქულით.

ზ). სირთულეების გადალახვის შერჩევა ფასდება - 3 ქულით.

თ). ძალდატანების გარეშე დავალებული საქმის შესრულება ფასდება - 3 ქულით.

4. აქტიური ჩართულობა სტუდენტურ საქმიანობაში (მონაწილეობა ღონისძიებებში, წრის სხდომების, კონფერენციის მუშაობაში. მოხსენებების მომზადება და სხვა აქტოვებებში ჩართულობა, ინიციატივების გამოვლინება) - 25 ქულა

4.1. სხვადასხვა სახის სოციალური, კულტურული, ინტელექტუალური, შემეცნებითი თუ სპორტული აქტივობები/ღონისძიებები.

ა). საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ აქტივობებში ჩართულობა ფასდება - 4 ქულით

✓ ინტელექტუალურ თამაშები.

ბ). სპორტული აქტივობები ფასდება - 4 ქულით

გ). სოციალურ და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისკენ მიმართული აქტივობები ფასდება - 4 ქულით

✓ გარემოზე ზრუნვის აქტივობები;

✓ საქველმოქმედო აქტივობები;

✓ სხვადასხვა საერთაშორისო კამპანიების ინტეგრირება (დაუნის სინდრომის დღე, აუტიზმის დღე და სხვა);

✓ საზოგადოებრივ და სამოქალაქო საკითხებზე საჯარო შეხვედრები და დისკუსიები აქტუალურ თემატიკაზე.

დ). კულტურულ და შემოქმედებით აქტივობები ფასდება - 4 ქულით

✓ ფოტო გამოფენები;

✓ ახალი წიგნების პრეზენტაციები და საჯარო დისკუსიები;

✓ ფილმების ჩვენება და საჯარო დისკუსიები.

ე). რეფერატის მომზადება ფასდება - 4 ქულით

✓ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამოყენება.

ვ). პრეზენტაციის (საპრეზენტაციო მასალების) მომზადება კონფერენციისთვის ფასდება - 5 ქულით

✓ დამუშავებული ლიტერატურის სისრულე;

✓ ლოგიკური აზროვნება;

✓ აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება ;

✓ მიხვედრილობის უნარის შეფასება;

✓ ლიტერატურის ანალიზისა და საკუთარი კომენტარების (შეხედულებების) გამოთქმის და დასაბუთების შეფასება;

✓ წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება ;

✓ შემოქმედებითი და კრიტიკული მიდგომის შეფასება ;

✓ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა და მსჯელობის კულტურის შეფასება ;

✓ თემის ათვისების უნარის შეფასება ;

✓ ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება;

✓ თემის მომზადებისას შემოქმედებითი მიდგომა და ინოვაციურ გადაწყვეტილებების დასახვა.